


№ 31 — 1917
კვირა მკათათვის 30
ფასი 20. კ.
წელიწადი მეხუთე გამოცემისა



**ქალთა უფლებისთვის მებრძოლნი**

მ. ბოჩკარევისა — რუსი, ბრძოლის ველზე გაგზავნილ „სიკვდილის ბათალიონის“ სარდალი და ქალბატონი პანკხერსტი — ინგლისელი, სახელგანთქმული სუფრაჟისტკა.

**ქნ. ანასტ. ალექ. მაჩაბლისა**

აბასთუმანში გარდაიცვალა ჩვენს საზოგადოებაში კარგად ცნობილი მოღვაწე ქალი, ივანე მაჩაბლის ქვრივი ანასტასია (ტასო), თავ ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილისასული.

ანასტასიას გარდაცვალება თვალსაჩინო დანაკლისია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

იგი დიდი მეგობარი იყო ქართული თეატრის, წ. კ. ს., ყველა კულტურული საქმისა და ყველგან უანგაროდ მუშაობდა სხვათაშორ არ უყვარდა თავის გადიდება, ედიდურება, დიდრაჯობა.

უკანასკნელად, რევოლიუციის წინა დღეებში იგი არჩეულ იქმნა წ. კ. გ. საგამგეობის წევრად ს. დ-ების მხრით.

იგი შეუდგა თავისი ძვირფასი მეუღლის ივანეს თარგმანთა (შექსპირის ნაწარმოებთა) გამოცემას, მაგრამ დღევანდელ პირობებში ვერ შესძლო.

ყველა ქართველს გულს დასწყვეტს მისი მოულოდნელი გარდაცვალება:

საუკუნო იყოს ხსენება მისი.

# რედაქციისგან

მშრომელთა ხელფასის მომატებამ, ქაღალდისა და მასალის გაძვირებამ დიდს ხარჯებში ჩაგვაგდო.

საჭიროა ნივთიერი დახმარება.

ჩვენი ჟურნალის მიზანია განსაკუთრებით ჩვენის თეატრისა და მწერლობის აღორძინების ხელისშეწყობა და მათის წინსვლით ხალხის სამსახური. ვისაც ძვირად გიღირთ ჩვენი ხალხის გათვითცნობიერება და ჩვენი ერთად ერთი სახელოვნო ჟურნალის არსებობა, ხელი შეგვიწყეთ ნივთიერად და ზნეობრივად.

ყოველგვარი დახმარება უნდა გამოიგზავნოს: Тифлис, ред. »Театри да Цховреба« Іос. Имедашвили

## მკათათვის 30

**თეატრის მესარკეობა**

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯის ცემა დღითი-დღე ძლიერდება.

პოლიტიკურმა პარტიებმა ყოველდღიური გამოცემანი მხოლოდ საკუთარ (უმეტესად ცალმხრივ) მისწრაფებათა სამქადაგებლოდ გარდააქციეს, საზოგადოება დაანაწილეს, ერთი ბანაკი მეორეს დაუპირდაპირეს.

ესევე ამბავი გადაიტანეს დაბა-სოფლად პროპაგანდისტების საშუალებით.

პოლიტიკურ აღორძინებისათვის იქნება სწორედ ესაა საჭირო, მაგრამ ისეთ კაციჭამიური აზრების ქადაგება და ისეთი შეურიგებელი მტრული მოქმედება, როგორიც ჩვენს ქვეყანაშია, არა გვგონია მთელი ქართველი ერის აღორძინებას მოუხდებოდეს.

ყველა ჩვენი პოლიტიკური პარტია თავთავისად „მართალია“, ყველა ჩვენი საზოგადოებრივი ჯგუფი „შეუმცდარია“, ყველა მწერალ-მოაზროვნე—„უცოდველი“...

ხოლო თუ თითოეულ მათგანს ნაკლიც აქვს, ამას არ გრძნობენ, არ ამჩნევენ...

ვინ უნდა აჩვენოს ფართო საზოგადოებას მათი ნაკლი, მათი მეორე მე, მათი შინაგანი სულისკვეთება, მათი ნაკლი?!

მხოლოდ და მხოლოდ მხატვრულმა ნაწარმოებმა ბელეტრისტიკამ და დრამატურგიამ, თეატრში განსახიერებულმა.

თეატრი თუ როდისმე იყო ჩვენთვის საჭირო როგორც საზოგადოებრივ ცხოვრების სარკე, იგი უმეტეს საჭიროა დღეს, დღეს, როდესაც ყოველივე საზოგადოებრივმა უმეტესად მახინჯი სახე მიიღო.

საზოგადოებრივ სინიდისის სასწორი და მათრახი,—აი რა გვეჭირვება.

ვინ უნდა გვიჩვენოს ეს?—

თეატრმა და მისმა ქურუმმა.

ნუ თუ ქართული თეატრი და მისი მსახური—დრამატურგი და მსახიობი ამ საღდესო მოწოდებას ყურად არ იღებს და არსებულ უქნარობით დაინთქმება?!

## ბაკი

***

იმასა ქვია გმირობა,
მოაზრვნისა მწირობა,
ჩაგრულს თავი ანაცვალო,
სხვისზე შენი არ გასცვალო.

—

ერთს მეორე არ იმონო,
სიყვარული შთააგონო...
ყველა გმირი თვის ერს ფიცავს
ძლებით ჰკრიწყლავს, სისხლით იცავს.

—

ებრძვის მტრობას, ეტრფის ტრფობას,
ერთობას და ერთა ძმობას.
მზნეზე მძლევობს, მტარვალს ჰთრგუნავს,
მართალ გმირსა მართლა თუ გავს!

—

და თუ ერსა თვის უფლება
ეკარგება და უკვდება,

—

მაშინ იგი ნაცნობს, უცნობს,
განურჩევლად ყველას უხმობს,
მინდვრად, ველად საბრძოლველად,
დაჩაგრულთა დასაცველად.

—

ოჰ, სამშობლოც! საყვარელი...
საქართველო! სანატრელი,
ხომ მონაა, დაპყრობილი,
უუფლებო დაბორკილი?..

—

ოჰ! შენ სახელს რუსთ მოურავს!
მშობლის ხმა ხომ არ მოუკლავს?
რომ არც ერთხელ სასახელო
არ ახსენე საქართველო?!

**დავით კოპალი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლალის ცრემლი

**გასულ წელს უბედურად გარდაცვალებულ ს. ბადურაშვილის (კიკნა ფშაველას დექ ა.)**

მჭკნარ ფოთლებში დაგეძიებდი, დავდიოდი ვერხვებ შორის,
გული მთხოვდა სიყვარულსა, სულის კერპის, სულის სწორის.
ნაღვლიანი ყურს უგდებდი ნაკადულის მწარე მღერას—
შტოთა კვნესას უერთებდი დაკოდილი გულის ძგერას...

* * *

არსებობის შავ ზღაპარსა მომითხრობდა ცივი ქარი,
სიკვდილის ჟამს მაგონებდა მოგუგუნე გლოვის ზარი...
ტკბილ წარსულის მოგონება აღრმავებდა სულის ტკივილს,
მიწა სდუმდა... არ ისმენდა ობოლ სულის მწარე ჩივილს.

* * *

ოცნებისა გრძნეულ ჯადოს ვერ მიჰგავდა აღმაფრენა,
გამქრალ ედემს დასტიროდა გადმომსკდარი ცრემლთა დენა...
მჭკნარ ფოთლებში დაგეძებდი, დავდიოდი ვერხვებ შორის,
გული მთხოვდა სიყვარულსა სულის კერპის, სულის სწორის..

**კიკნა ფშაველა.**

# „აქეთ-იქით გამარჯობა“

(ძველი ამბავი)

I

— ვინც კაცია-და ყოყოჩაანთ ლაზარეს „გამარჯობას“ დაასწრობს! იძახოდნენ ლაზარეს მეზობლები.

— როგორ, მე ლაზარე-და ვიქნები რო „გამარჯობა“ დამასწროს ვინმე! იკვეხოდა სამართლიანად თვითონ ლაზარეც.

ან როგორ და ვინ დაასწრობდა მას გამარჯობის თქმას, როცა არც კი აცლიდა კაცს ექვს ნაბიჯზედ მოახლოვებოდა, რომ სტყორცნიდა რიხიანად: „გამარჯობა შენი-ო“.

ბევრჯერ დანაძლევებულან ერთმანეთში ლაზარეს სოფლის ბიჭები, რომ მას დაასწრობდნენ „გამარჯობის“ თქმას და „გაატრიზავებდნენ“, მაგრამ სანაძლეო ყოველთვის წაუგიათ. თითქმის რაღაცა აღლოთი ატყობდა ამისთანა ხალხს ეშმაკობას და თუ სხვას ექვს ნაბიჯზედ, მათ ათი ნაბიჯის მანძილიდან შეუყვირებდა „გამარჯობა-“ო.

მხოლოდ ერთად ერთი კაცი იყო და ისიც მისსავე სოფელში, რომელსაც არ ეტყოდა ხოლმე ლაზარე „გამარჯობას“ მაგრამ არც თვითონ ესმოდა მისგან ეს სიტყვა, რადგანაც ერთმანეთთან უმძრახად იყვნენ. ეს კაცი იყო მისი უფროსი ღვიძლი ძმა.

— მე ლაზარე მქვიან! თავს ისე არ დავიმცირებ, რომ იმას „გამარჯობა“ ვუთხრა! არა და არა! უპასუხებდათ ხოლმე ლაზარე თავის ცოლსა და მათაც, ვინც ურჩევდნენ მას, როგორც უმცროსს, თავი მოეხარა და პირველი ნაბიჯი იმას გადაედგა შერიგებისაკენ.

II

ლაზარეს ძლიერ ერევოდა გული თავის ძმაზედ მას შემდეგ, რაც ისინი გაიყარნენ. მას ეჭვი შაეპარა მედიატორეების სამართლიანობაში ვენახის გაყოფის დროს. იშვიათად იქნებოდა ისეთი დღე, რომ ლაზარეს არ აელო ხელში ჭიგო და არ გაეზომა ჯერ ძმის

ვენახი და მერე თავისი და ყოველთვის იმ დასკვნამდის მიდიოდა, რომ მედიატორეებმა ჩააჭრეს მის ხვედრ ვენახს მთელ სიგრძეზედ სრული ერთი ადლი და მიაკერძეს მის ძმას. ლაზარეს ვერ მოენელებინა ეს უსამართლობა, ედავებოდა ძმას ამ მეტ მამულს და თითქმის ყოველ დღე ეჩხუბებოდა მას. ყოველ დღიური ჩხუბი კი ბოლოს თავპირის მტვრევით დასრულდა.

ერთ დღეს ლაზარეს ძმა მიჯნაზედ, სწორედ იმ ადგილზედ, რომელსაც ლაზარე თავის საკუთვნოდ სთვლიდა, ვაზებს აწვენდა (სწიდნავდა) ლაზარეც გაჩნდა თავის ვენახში და დაუწყო ყასიდად ბარვა. ჩაჰკრავდა ორსამ ბარის პირს, შედგებოდა და მაღლა ხმით, ისე რომ გაეგონა, უთვლიდა ძმას წყევლა-კრულვას და ლანძღვა-გინებას.

ძმამ დიდხანს უთმინა, მაგრამ ბოლოს გამოელია მოთმინება და გამოეხმაურა. ამის პასუხად ლაზარემ მოგლიჯა ჭიგო და გაემართა ლანძღვა-გინებითვე ძმისაკენ. ხოლო, ვიდრემდის მიუახლოვდებოდა მას, ამტვრევდა უკვე დაწვენილი ვაზების რქებს და იძახოდა: „ეს საოხრო და სატიალო ჩემია და ცოცხალის თავით მე შენ არ დაგანებებ!“ო. მიუახლოვდა და დაუშინეს ერთმანეთს მოგლეჯილი სარები და ვიდრემდის მიეშველებოდნენ აქეთ-იქიდამ მეზობლები, თავპირი დაუსისხლიანეს ერთმანეთს.

სასოფლო სასამართლომ დავა ლაზარეს მხრით უსაფუძვლოდ სცნო და გაამტყუნა იგი, მაგრამ ის არა სცხრებოდა და არ ანებებდა თავს ძმასთან დავას.

აი ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ ლაზარე არ ეუბნებოდა თავის ძმას „გამარჯობა“ს და არც უთქვამს, ვიდრემდის მას პირში სული ედგა.

III

— ადამიანო, რას გაჩუმებულხარ და ხმას არ იღებ? იმ წინწალ ამოწყვეტილმა რო წაგვართვა ი ვენახი, არაფერი უნდა ილონო? რითიღა უნდა ვარჩინოთ ამას იქით ან თავი და ან შვილები?

— რამ გაგაგიჟა, დედაკაცო, რა ხმა უნდა ამოვიღო ან რა უნდა ვიღონო? კაცს სამართალმა არგუნა და მე რაღა მეთქმის?

— ისე სამართლიანმა ღმერთმა იმას მოახმაროს, როგორი სამართლიანობითაც იმან ჩაიგდო ხელში მთელი ჩვენი სარჩო-საბადებელი და ჩვენ-კი უწყალოდ დაგვყარა!

— სამართალმა აკუთვნა მეთქი, დედაკაცო, სამართალმა! გაიგე თუ არა?

— ნეტა მითხრა, ე მაგას წმინდის გულით ამბობ! დავიჯერო, ვერა ჰხედავ და ვერა ჰგრძნობ ჯერ ყურით არსად გაგონილ და თვალით არსად ნახულ უსამართლობას!?

— ახლა რო ვხედავ და ვგრძნობ, იმისთვის თავპირი უნდა ჩამოვამტვრივო!?

— თუ კი შენი ღვიძლი ძმა არ დაინდე და ჩამოამტვრივე თავპირი, აქადამა და ერთი ადლი მამული მეტი მიიკუთვნაო, რატომ იმას კი ვერ ჩამოამტვრევ ვინც მთელი შენი სარჩო-საბადებელი წაიღო?

— ძმა სხვა არის და მეზობელი სხვა!

— მაშ ხვალ პერანგიც რომ გაგხადოს და წაიღოს, ხმა არ უნდა ამოიღო, აქადამა და მეზობელიაო?

— არც ამოვიღებ ხმას, თუ კი ჩემი ხმის ამოღებით მისი მეზობლობა მომეშლება!

— კიდევ კარგი, რომ ჩემ მაზლს მაინც შერჩა ის რაღაცა ერთი ადლი სადავო ვენახი იყო, თორემ იმასაც ხომ ის წინწალ გამქრალი წაიღებდა!

— რათ უნდა შერჩეს იმას? დაე, ისევ სხვას წაეღო ისიც! იმას რათ უნდა შერჩეს? ან შევარჩენ? ცეცხლს მოვუდებ იმ შენ სანაქებო და საყვარელ მაზლს და ჩემ პატიოსან ძმას! — აი, ძმარს ვადენ მე იმას ცხვირიდან, შენ დამაცადე!

— ღმერთო დამიფარე! კაცო, გარჩევა არ უნდა გქონდეს შენი ვინ არის და სხვა ვინ?

— დედაკაცო, შე ძუძუძაღლო, ნუ ხარ უჯიათი! რა ხანია ჩემ ძმასთან ჩხუბი და დავიდარაბა მაქვს და აბა თუ ერთ ვისმე დაუძრახვივარ და გაუმტყუნებივარ? ვერც არავინ დამძრახავს და გამამტყუნებს, რადგანაც ძმა ძმას უნდა ეჩხუბოს. ასეა ადათი და წესი. ამისათვის არც არავის „გამარჯობაზედ, „გაგიმარჯოს“ თქმა დაუჭერია ჩემთვის დღეს აქამომდე. მეზობელთან კი რომ ჩავიდინო სიავკაცე, ყველა დამძრახავს მაშინ და გამამტყუნებს: მეზობლის გატანა არ იცისო, და

„გამარჯობაზედ“ რომ „გაგიმარჯოს“-ო არ არ მითხრას ვინმე, როგორღა გამოვყო მაშინ სოფელში თავი?

— შენ რომ მაგრე ძვირად აფასებ მეზობლობას და თავ-გადაკლული ხარ, ისა გმეზობლობს—რატომ ამას კი არა ჰკითხულობ?

—ყველა კაცს თავისი ჭკვა და მართებულობა აქვს. მე ლაზარე ყოყოჩაშვილს მეძახიან და ჩემი მართებულობა მე თვითონ ვიცი და ასე მოვიქცევი, სანამდის პირში სული მიდგა. გაიგე თუ არა? სხვამ კი-თ ვითონ იცის თავისი საქმისა.

— გაგონილა, თქვენი ჭირიმეთ, ამისთანა ნაცილი? კაცმა სულს აქეთია ალარაფერი შეგვარჩინა და ეს კი რაღაცა „მართებულობაზედ“ ლაპარაკობს და ხვალვე გაიქცევა და „გამარჯობასაც“ ეტყვის იმ იუდის კერძს.

რომ ლაზარე დიდი „მართებულობის“ კაცი იყო. ამას სხვათა შორის მისი ერთი პატარა თავგადასავალიც ამტკიცებს. ლაზარეს წვერ-ულვაში ახლადა ქონდა მობუსუსებული, როცა იგი ალაზან გაღმა მხარში სხვა ამხანაგებთან ერთად ტყვეთ ჩაუვარდა მოთარეშე ლეკებს. ხელებ გაკრული ტყვეები გაირეკეს წინ ლეკებმა და გაემგზავრნენ სამშობლოსაკენ. როცა სამშვიდობოს გადავიდნენ, ერთ ადგილას შესასვენებლად შედგნენ. აქ ტყვეებს ფეხებიც გაუკრეს და მიწაზედ დაყარეს. თვითონ დამტყვევებელნი კი ტკბილ ძილს მიეცნენ. რაღაცა მანქანებით თუ ლაზარეს ბედის მუშაობით, აკი გაიხსა თოკი და გაუთავისუფლა მას ხელები! რა დაინახეს ეს ამხანაგებმა მიმართეს: „რაღას უყურებ, გაიხსენი ფეხები და ჩვენც გაგვიხსენი ხელფეხი და გავიქცეთო, ლეკებს ისე მაგრადა სძინავთ, რომ ვერაფერს გაიგებენო“. ამაზედ ლაზარემ უპასუხათ: „მე მაგისთან უმართებულობას ვერაფრის გულისათვის ვერ ჩავიდენო“. ხოლო ფეხები გაიხსნა, მივიდა ერთ-ერთ ლეკთან, გაანძრია ხელათ, გაალვიძა და უთხრა„: ლეკ-ბატონო, ხელები გამეხსნა და, შენი რჯულის მადლს, ადექ შემიკარიო“. ლეკმა თვალები მოიფშნიტა, წამოდგა ზეზე, ზიზლით თავი გაიქნივა და მაგრად, რაც კი ძალ-ღონე ჰქონდა ჩაუჭირა ლაზარეს თოკი ხელებში და ფეხებშიც და წამოწვა ისევ დასაძინებლად.

გამაიღვიძეს ლეკებმა, გაუხსნეს ტყვეებს ფეხები და გაემზადნენ წასასვლელად, მაგრამ ლაზარე ფეხზედ ვეღარა დგებოდა, რადგ ნაც თოკის ჩაჭირებით ფეხებიც, და ხელებიც სრულიად დაჰდუნებოდა. „მის მოსაკლავად ხელი არ გაისვარეს“ ლეკებმა. თოკიც დაენანათ და ხელებიდგან შეხსნეს, ლაზათიანად მიტყიპეს და მიანებს თავი. დიდის გაჭირებითა და ბევრი ხეტიალის შემდეგ დაბრუნდა შინისკენ მერე.

**მელნია**

(გაგრძელება იქნება)

# ერთი ჩუმი მუშაკთაგანი



**არჩილ ხვედელიანი.**

(მცირე მოგონება)

თუ ვისმეს ახსოვს ანუ გაუგონია ეგნინოშვილის შვიდ კაპიკიანი სადილი, მიკიტანი არჩილ ხვედელიანიც უნდა მოაგონდეს.

არჩილი იყო ჩვენი ხელმოკლე მწერალ-მოღვაწეთა უანგარო მფარველი.

ეს იყო რაჭველი გლეხის შვილი, მთაწმინდის მიკიტანი, რომლის სამიკიტნოს ამშვენებდა ცალკე მოწყობილი სალონისებური კუთხე. აქ ნახავდით თამარ დ დისა და სხვ. ჩვენს მოღვაწე მწერალთა სურათებს, გაზე „ივერიას, „კვალს“ და სხ. წიგნებს.

დღეს ჟურნალ-გაზეთებით თითქმის ყველა ანბანის მცოდნე იკვებება, ოცის წლის წინად კი სანთლით საძებარი იყო მიკიტანთა შორის მწიგნობრობით გატაცებული კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილი არა თუ მხოლოდ თითონ ეწაფებოდა სამშობლო მწერლობას, არამედ თავის წრეში ავრცელებდა ჟურნალ-გაზეთების კითხვის სურვილს, ჰქადაგებდა ხალხოსნურ-ეროვნულ იდეებს. ისე როგორ გამოვიდოდა ახალი წიგნი ანუ რაიმე გამოცემა, რო მასზე ადრე შეეძინა ვისმეს.

ხელობით ვაჭარი იყო, მაგრე მოწოდებით, სულით ყოველგვარ ვაჭრულ მისწრაფებაზე მაღლა მდგომი—სახალხო მოღვაწე.

სულ უბრალო მაგალითი: საზოგადოდ მიკიტანი თავის მოსაგებს მუშტრების დათრობაში ხედავს, იგი კი—რაკი მუშტარს შეატყობდა, ისადილაო, რაც უნდა ეთხოვნა ღვინოს აღარ მისცემდა, ლოთობა კაცს არ ეკადრებაო.

არჩილს გული სტკიოდა, როცა ხედავდა რომ ჩვენი მდაბიო ხალხი გონებრივ სიბნელეშია ჩაფლული.

— უსწავლელი ხალხი უენო ცხვარია და და ხმის ამოუღებლად მისდევს ვაცს. და ვაი ცხვრის ბრალი, თუ ვაცი უგუნურია: კლდეზე გადაჩეხავსო... ხალხს გამოფხიზლება უნდა, რომ თავის თავს თითონ უპატრონოს ჩვენი ხალხის გონებაში ჯერ კიდევ ბნელა: გონება გაუნათლეთ და მერე ნახეთ, სამშობლოს ფეხზე წამოაყენებს და სხვა მოწინავე ქვეყნებს მხარდამხარ გაჰყვება თუ არა?! იტყოდა ხოლმე.

ამ აზრთა გასავრცელებლად საქმითაც მუშაობდა.

მისი მახლობელი მონაწილეობით 95—96 წლებში შევადგინეთ ხალხის თვითგანვითარების წრე. კრებებს ვმართავდით ხოლმე ი. ეკალაძის—იაკობ ცინცაძის ბინაზე ვოგზალთან და სხვაგან, მოვაწყეთ არა ოფიციალური წიგნთსაცავი და საუბრებს ვმართავდით. ესწრებოდა მდაბიო ხალხი.

ერთხანად ეგრედ წოდებული „რიგის პურობაც“—კი შემოვიღეთ (რადგან აშკარა შეკრების ნებართვა არ იყო) ხალხოსნურ-ეროვნულ იდეათა გასავრცელებლად. იშვიათად მინახავს ისეთი უანგარო გატაცებული მუშაობა. არჩილი სული და გული იყო ჩვენი ასეთი საქმიანობისა და თუმცა მთაწმინდაში იდგა, სავაჭრო ღია ჰქონდა, მაინც ყოველთვის დაიარებოდა კრებებზე. იგი არც კალმოსანი იყო, არც „ორატორი, მაგრამ მისი ყოველი სიტყვა, საუბრის დასასრულს თქმული, გონიერი მოსაზრებით იყო ხოლმე სავსე. ეს წრე დაიშალა ია ეკალაძის (თომაანთ კობას) გადასახლების გამო და თუმც ბევრი ჩვენი ამხანაგი შეაკრთო ამ გარემოებამ, ბევრმა ხელნაწერები და ოქმები ბუხარს უძახა, არჩილი მაინც თითო ოროლა თავგამოდებულ ამხანაგთან ერთად უანგაროდ ემსახურებოდა ხალხის გამოფხიზლების საქმეს.

არჩილის უანგარო მუშაობა მხოლოდ სიკვდილმა შეაჩერა. იგი გარდაიცვალა ამ ოცის წლის წინად—1897 წ. და იმ დროის შეგნებულ მდაბიო ხალხის შვილებმა დიდის პატივით დაკრძალეს წმ ნინოს სასაფლაოზე არჩილი ადრე გარდაიცვალა, მაგრამ მისგან განბნეულმა თესლმა ინაყოფიერა და დემოკრატიის დღევანდელ ზეიმში მასაც წილი უძევს. არჩილის ზოგიერთი ხელქვეით-მოწაფეთაგანი დღესაც სახალხო მუშაკობას მისდევს.

და დღეს, როდესაც ჩვენმა ხალხმა დაამხო ძველი სულთამხუთავი მთავრობა, დღეს, როდესაც დემოკრატიული იდეები იმარჯვებს და მალე ჩვენს სამშობლოშიც აფრიალდება თავისუფლების დროშა, არ შემიძლიან არ მოვიგონო ჩვენის ხალხის წრიდან ის მუშაკი, არჩილ ხვედელიანი, რომელიც მუდამ ამ დღის მოახლოებას შენატროდა.

თუ სულეთში მყოფნი გრძნობენ რასმე, უეჭველია, არჩილის სულიც ნეტარობს დემოკრატიის გამარჯვებით და ჩვენის სამშობლოს გამოფხიზლების ნიშნები.თ

იოსებ იმედაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფრ. კეტ.** არა, არა! სრულებითაც არა.

**ბრაუნ.** ფრეილინ ანნას მაგისი დახმარების იმედი ხომ არა აქვს?

**ფრ. კეტ.** არა, არა, არა! რას ამბობთ? როგორ მოგივიდათ მაგისთანა აზრი. ჩემგან მეტს ვერაფერს ვერ გაიგებთ, ვერც ერთ სიტყვას...

**ბრაუნ.** (შლიაპას იღებს) ყოველ შემთხვევაში მე არ გირჩევთ, არ შემიძლიან მაგისთანა პლანებს მხარი დაუჭირო. ეგ იქნება...

**ფრ. კეტ.** კმარა, კმარა!. ამაზე ლაპარაკს თავი დავანებოთ! მაგრამ თქვენ, თქვენ დაბრუნდებით?

**ბრაუნ.** (გასვლას აპირებს) რასაკვირველია, ფრაუ კეტე. თქვენ სერიოზულად ლაპარაკობთ?

**ფრ. კეტ.** (უნდა გაიცინოს, მაგრამ თვალებში ცრემლები ერევა). რას ბრძანებთ! მე ისე გავიხუმრე! (ძალდატანებული ეშმაკობით უქნევს თავს) წადით, წადით! (თავის თავს ვეღარ მორევია და ამიტომ საჩქაროთ გარბის საწოლ ოთახში)

**ბრაუნ.** (დაფიქრებული გადის)

**ფრ. ფოკ.** (ბლუდით ვაშლი შემოაქვს, სდგამს სტოლზე და იწყებს ვაშლის თლას ფრ. კეტე ბრუნდება და საწერ სტოლთან ჯდება)

**ფრ. ფოკ.** (ბლუდს არყევს, რომ ვაშლის ნაჭრები თანასწორედ დაეწყოს) კარგია, რომ ეხლა ჩვენს ოჯახში ყველაფერი დაწყნარდება. არა კეტე?

**ფრ. კეტ.** (ნაჭუჭურებს ანგარიშებს) თავი დამანებე, დედი გეთაყვა. საანგარიშებელი მაქვს!

**ფრ. ფოკ.** კარგი, კარგი! არ დაგიშლი... ნეტა სად მიდის?

**ფრ. კეტ.** მგონი ციურიხში.

**ფრ. ფოკ.** ძალიან კარგად უნებებია. იქ უფრო სამაგისო ადგილია

**ფრ. კეტ.** ეგ როგორ მოხდა, დედი? თქვენ ხომ ის ქალი მოგწონდათ?

**ფრ. კეტ.** არა, არა, არ მომწონდა; ჩემთვის ძალიან ახალი მოდისაა.

**ფრ. კეტ.** დედილო!

**ფრ. ფოკ.** მართლა და ეს სადაური წესრიგია? ახალგაზრდა ქალია და სამი დღე გახეული სახელოთი დადის...

(იოჰანესი შლიაპით საჩქაროდ შემოდის შუშაბანდიდან და მაშინათვე მიდის თავის კაბინეტისკენ).

**ფრ. კეტ.** ჰანეს!

**იოჰან.** მე გახლავარ!

**ფრ. კეტ.** წამოვიდეთ ვაგზალზე?

**იოჰან** (მხრების აჩეჩვით) შენ უკეთ იცი. (შედის კაბინეტში. მცირე ხან სიჩუმეა).

**ფრ. ფოკ.** კიდევ დაიწყო? (ვაშლების დათლას ათავებს და დგება). მართლა, გვედრიება, რომ ერთი ყველამ მოვისვენოთ და დავმშვიდდეთ... სხვა არ იყოს რა, ხალხი ლაპარაკობს.

**ფრ. კეტ.** რაზე?

**ფრ. ფოკ.** არ ვიცი, არაფერი არ ვიცი, მე მხოლოდ ისე... გარდა ამისა, ყველა ეს.. ფული ღირს.

**ფრ. კეტ.** დედი, თუნდა სამისათვის მოგვიმზადებია სადილი, თუნდა ოთხისათვის, აქ დიდი განსხვავება არ არის.

**ფრ. ფოკ.** შვილო, მთელი პურიც ნამცეცებისაგან შესდგება. (იოჰანესი შემოდის ჯდება ფეხს ფეხზე შემოიდებს და წიგნსა ჭვურცლავს)

**იოჰან.** უსინდისო, არამზადები არიან ეს მთავრობის მოხელენი!. დილიდან საღამომდის ლოთობენ... და ამასთანავე საშინელი ბრიყვებიც არიან... ოჰ!..

**ფრ. კეტ.** უფრო სახერხო მატარებელი რომელ საათზე გადის? ნუ სჯავრობ, ჰანეს!

**იოჰან.** სისაძაგლის ბუდეა! (გაჯავრებული ჭხურავს წიგნს და დგება) არც მე დავჩრები აქ!

**ფრ. ფოკ.** ნუ გაიწყდება, ჩემო კარგო. რომ კანდრახტი ოთხი წლითა გაქვს შეკრული.

**იოჰან.** ნუ თუ თავი უნდა დავიღუპო იმის გამო, რომ ოდესღაც სისულელე მომივიდა და ოთხი წლით კანდრახტს ხელი მოვაწერე?

**ფრ. ფოკ.** შენ მუდამ ნატრობდი სოფელში ცხოვრებას .. ჯერ ნახევარი წელიწადი არ გასულა და უკვე მოგწყინდა...

**იოჰან.** შვეიცარიაშიც შეიძლება სოფლად ცხოვრება.

**ფრ. ფოკ** ბავშვი და? იმას რაღა ეშველება? ნუ თუ იმასაც წაიყვან და აქა-იქა წანწალით დასტანჯავ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**იოჰან.** შვეიცარია უკეთესი საცხოვრებელია პატარა ფილიპესათვისაც კი.

**ფრ. ფოკ.** ჩემო კარგო, შენ მალე მთვარეზე გადასახლებასაც მოინდომებ რაც გინდათ ისა ჰქენით—მე რა მენაღვლება! მე, გადაყრუებულს, აბა რა გამეგება. (გადის შემოსავალი კარებიდან. მცირე ხანს სიჩუმეა).

**იოჰან.** (ოხრავს) ბავშვებო, გაფრთხილდით, რას მიშვრებით?

**ფრ. კეტ.** ეგ რა ჭკვაში მოგივიდა,—შვეიცარიაში გადასახლება?!

**იოჰან.** აბა, რასაკვირველია.... ეცადე უმანკო სახის გამომეტყველება მიიღო (აჯავრებს) ეგ რა ჭკვაში მოგივიდა—შვეიცარიაში გადასახლება? ვიცი ეგ ოინები, პირდაპირ კი არ იკითხავენ—ისე გადაკვრით. შენი აზრი კარგად მესმის! დიაღ, შენ მართალი ხარ! მე იქ მინდა ვიცხოვრო, სადაც ფრეილინ ანნა ცხოვრობს. ნუ თუ ეს გაუგებარია? მერე აქ ისეთი რა არის? რა არის აქ დასამალი?

**ფრ. კეტ.** დღეს შენ უცნაურ გუნებაზე ხარ. უკეთესია მე წავიდე.

**იოჰან.** (მარდათ) მეც შემიძლიან წავიდე! (გადის შუშაბანდში)

**ფრ. კეტ.** ოხ, ღმერთო ჩემო, ღმერთო!. (ოხრავს და თან თავს აქნევს). შემოდის ფრეილინ ანნა, შლიაპას, საგზაო პატარა ტომარას და წამოსასხმელს სკამზე აწყობს)

**ფრ. ანნა.** მე მზა თა ვარ! (კეტეს მიუბრუნდება) დრო არ არის? რომელი საათია?

**ფრ. კეტ** ცატ. რეზლის დაძვრამდის. საათის სამი მეოთხედი დარჩა.

**ფრ. ანნა.** ოხ (ხელსა ჰკიდებს კეტეს) მე დიდის სიამოვნებით გავატარე თქვენთან ეს დღეები.

**ფრ. კეტ.** დიახ, დრო მიდის....

**ფრ. ანნა** ეხლა კი ძალიან მაგრათ ჩავიკეტები ციურიხში. ვიმუშავებ, ვიმუშავებ რაც კი შემიძლიან...

**ფრ. კეტ.** საგზაოდ პური და კარაქი წაიღეთ.

**ფრ. ანნა** გმადლობთ. არ მომშივა. (მცირე ხანს სიჩუმე) ნეტა ერთი მალე გათავდეს ეს მიბრძანდ-მობრძანდიობა, ეს ნაცნობები... მოკითხვები ტა...ტა... (გაცინებულსავით ათახთახებს) წერილი მომწერე როდისმე...

**ფრ. კეტ.** რასაკვირველია!.. მაგრამ ჩვენში არაფერი საყურადღებო ამბავი არ არის ხოლმე

**ფრ. ანნა.** შენი სურათი მაჩუქე!

**ფრ. კეტ.** დიდი სიამოვნებით (ეძებს სურათს საწერი სტოლის უჯრაში) მაგრამ დიდი ხნის გადაღებული კი ვარ.

**ფრ. ანნა.** (ალერსით და შებრალებით ოდნავ კისერში წამოჰკრავს) აი შე ყინწავ!..

**ფრ. კეტ.** (ისევ ეძებს. დიმილით შეხედავს) ანნა, ჩვენ მძიმე თავები არ გვაქვს!. აი სურათი იღებ (აძლევს ფოტოგრაფიულ სურათს)

**ფრკ. ანნა.** ძალიან კარგი! მშვენიერია. ქმრის სურათი კი არ გაქვს? ყველანი ისე შემოვარდით რომ.·.

**ფრ. კეტ.** არ ვიცი, ღმერთმანი.

**ფრეილ. ანნა.** შენი ჭირიმე, კეტე, მონახე, დაძებნე!.. არის? ჰოო?.

**ფრ. კეტ.** დიახ' ერთილაა.

**ფრ. ანნა.** მომცემ?

**ფრაუ კეტ.** აჰა, წაიღე.

**ფრ ანნა.** (სწრაფად ინახავს სურათს) ახლა კი... ყველანი მალე დამივიწყებთ ახ, კეტე, კეტე..˙ (ეხვევა და სტირის)

**ფრ. კეტ.** არა, ანნა, მე ყოველთვის... სწორედ ყოველთვის მეხსომებით, ანნა და˙.

**ფრ. ანნა.** ცოტათი მაინც გეყვარები?

**ფრ. კეტ.** ჰო ანნა, ჰო. ეგ რა საკითხავია?

**ფრ. ანნა.** გიყვარვარ?

**ფრაუ. კეტ.** ეჭვი რათ შემოგაქვს?

**ფრ, ანნა.** მე რომ მივდივარ, განა შენ ცოტათი არ გიხარიან?

**ფრაუ. კეტ.** მაგით რა გინდა სთქვა?

**ფრ. ანნა.** (მოსცილდება კეტეს) დიახ, დიახ, კარგა მოხდა რომ მივდივარ. ყოველ შემთხვევაში ესე უკეთესია... დედა ფოკერატი რაღაც ალმაცრივ მიყურებს..

**ფრ. კეტ** ეგ კი ტყუილია.

**ფრეილ. ანნა.** დამერწმუნე (სტოლთან ჯდება) რისთვისაა ყველა ეს!? (დაფიქრებული იღებს ფოტოგრაფიულ სურათს და დიდხანს აცქერდება) რა ტანჯულის სახის გამომეტყველება აქვს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფრ. კეტ.** დიახ?

**ფრ. ანნა.** ჰანესს. ჰმუნვის ხაზებს დაუსერია ამის სახითვე იმიტომ, რომ ის მარტოა... ვინც სულით ობოლია, ის მეტად იტანჯება... ჰანესი შენ როგორ გააცანი

**ფრ. კეტ.** ოჰ, დიდი ხანია მას შევდეგ..

**ფრ. ანნა.** მაშინ ჯერ ისევ სტუდენტი იყო?

**ფრ. კეტ.** დიახ.

**ფრ. ანნა.** შენ ძალიან პატარა იყავი და იმიტომ დასთანხმდი...

**ფრ. კეტ.** (სწითლდება. სრცხვენიან) აბაა, კეტე, კეტე!.. (ინახავს სურათს და დგება) რომელი საათია?

**ფრ. კეტ.** ჯერ კიდევ კარგა ხანია მატა, რებლის მოსვლამდის.

**ფრ. ანნა.** ბევრი? ოჰ, ღმერთო ჩემო ბევრი! (ჯდება ფორტოპიანოსთან) შენ არ უკრავ? (კეტე თავს აქნევს უარის ნიშნად) არცა მღერი? (კეტე ისევ თავს აქნევს) ჰანესს კი საშინლად უყვარს მუსიკა, არა? ოდესღაც მეც უკრავდი და ვმღეროდი კიდეც, მაგრამ კარგა ხანია ორივეს თავი დავანებე. (წა მოტხებ) ეგ სულ ერთია! მე ისეც კარგათ ვისიამოვნე, რისთვისაც დიდათ გმადლობ... უნდა შევჩერდე ვიდრე ალტაცება არ გამომნელდება, ასე სჯობია; არა კეტე?

**ფრ. კეტ** სწორე გითხრა, არ ვიცი.

**ფრ. ანნა.** ბოლომდის ტკბილი და სასიამოვნოა ყველა ის, რაც თავში ტკბილად გვეჩვენება.

**ფრაუ. კეტ.** შეიძლება.

**ფრ. ანნა.** არა, ეს მართლა ასეა. ახ, თავისუფლებავ! ადამიანი ყველაფერში თავისუფ ლი უნდა იყოს! აბა ეხლა დრო არის?

**ფრ. კეტ.** არა, ჯერ კიდევ ადრე. (მცირე სიჩუმე)

**ფრ. ანნა.** ციურიხში ძალიან ადრე მივდივარ, თითქმის რვა დღით...

**ფრაუ. კეტ.** ჰოო?

**ფრ. ანნა.** ახ, ნეტავი ერთი მალე შეუდგე მუშაობას! (მოულოდნელად ჩამოეკიდება კეტეს კისერზე და აქვითინდება) ოხ ღმერთო ჩემო, ისე მეძნელება რომ ლამის გული გამისქდეს...

**ფრ. კეტ.** უბედური, უბედური!..

**ფრ. ანნა.** (კეტეს მოშორდება) უნდა წავიდე! უნდა... (მცირე ხანს სიჩუმეა).

**ფრ. კეტ.** ანნა... შენც მისდიხარ... გეთაყვანე მირჩიე რამე.

**ფრ. ანნა.** (მოწყენილი. თითქმის სიბრალულით) საყვარელო, კეტე!..

**ფრ. კეტ.** შენ ახერხებდი. შენ იმაზე კეთილად მოქმედებდი...

**ფრ. ანნა.** მართლა? ნუ თუ ეს მართალია?

**ფრ. კეტ.** ჰო, ანნა აი ერთი კიდევ რას გეტყვი: შენ გავლენა გქონდა, არა მარტო მაზე, არამედ ჩემზედაც... დიახ, შენგან ბევრნაირათ ვარ დავალებული. მე ეხლა მტკიცეთ გადავწყვიტე... მირჩიე ან-ნა.

**ფრ. ანნა.** ნუ თუ მე შემიძლიან რამე გირჩიო?.. არა, მე შინიან, მეშინიან რამე გირჩიო..,

**ფრ. კეტ.** გეშინიან?!

**ფრ. ანნა.** დიახ, მე შენ ძალიან, ძალიან მიყვარხარ კეტე!.

**ფრ. კეტ.** ახ ნეტავი შემეძლოს, რომ რითმე გასიამოვნო.

**ფრ. ანნა.** არა, კეტე' არ შეიძლება-შენ მაგას ვერ იზამ.

**ფრ. კეტ.** ვინ იცის. იქნება შენი ტანჯვა კიდევაც მესმის.

**ფრ. ანნა.** გესმის? აბა სთქვი, სულო!..

**ფრ. კეტ.** ვიტყვი, მაგრამ...

**ფრ. ანნა** ლირუმ... ლარუმ. რა ამბავია? კმარა, კმარა. მოდი და ეხლა მივდივარ, მეტი არაფერი. რა მოხდა? არაფერი... შეხედე, მზე მაც მომაშუქა. წამო ერთი უკანასკნელად ბაღს შემოუაროთ. ასეა თუ ისე, ასსა და ათასს გამოუცდია იგივეანუ... მართლა ეხლა მომაგონდა, რამდენიმე სიტყვა მინდა დავწერო...

**ფრ. კეტ.** აქ დაწერე (კანტორკიდან ქაღალდს იღებს) მაგრამ საწერელ-კალამი ჰანესის ოთახშია. შედი. გამოიტანე, ის იქ არ არის. (ანნა შედის ოთახში. კეტე მარტო რჩება. პატარა ხანს სიჩუმეა, ტერასასთან შემოდის. მეტად ნერვებ აშლილი) კიდევ წვიმა მოდის... ლახურული ეტლი უნდა შეგვეკვთნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფრ. კეტ.** ეხლა ხომ ველარ მოესწრება.

**იოჰან.** ჰო, სამწუხაროდ.

**ფრ. კტე.** ბრაუნი იყო აქ.

**იოჰან.** ეგ ჩემთვის სულ ერთია! რა უნდოდა?

**ფრ. კეტ.** ის ისევ ჩვენთან დაბრუნდება და თქვენ შორის კვლავ ადრინდელი გაწყობილება ჩამოვარდება.

**იოჰან.** (ჩაიცინებს) ეგეც ასე! გონია ძალიან საინტერესო იყოს! არ შეიძლება ეტლისათვის გავგზავნოთ? საზოგადოთ...

**ფრ. კეტ** ეტლისათვის? სადგურამდის, რომ სულ ორი ნაბიჯია.

**იოჰან.** წვიმისაგან ისეთი მოლინჭყულია, რომ არ გაივლება. მოგზაურობისათვის ხომ საშინელი დარია.

**ფრ. კეტ.** ვაგონში ჩაჯდომა სჭირს თორემ...

**იოჰან.** რასაკვეირელია, ხალხით გატენილ მესამე კლასის ვაგონში ჯდომა, ისიც სველი ფეხებით, ძალიან სასიამოვნოა...

**ფრ. კეტ.** ეგ უთუოთ ქალების კუპეში ჩაჯდება...

**იოჰანე.** ფეხების გასთფობი ტომარა მაინც უთავაზ.

**ფრ. კეტ.** ეგ კარგად წამოგაგონდა. მეც კი ვფიქრობდი!..

**იოჰან.** მაინც მეტი ფაცი-ფუცის წასვლაა.

**ფრ** (**კეტ** პასუხს არ აძლევს).

**იოჰან.** ერთი ორი დღით კიდევ დიდი სიამოვნებით დარჩებოდა...

**ფრ. კეტ.** (მცირე ხანს სიჩუმის შემდეგ). აკი შენა სთხოვე და...

**ოჰან.** რასაკვირველია! მე ვთხოვე მაგრამ თქვენ, შენ და დედაჩემს კი არ გითხოვნიათ! მთქვენ ორივენი გასჩუმდით, და იმ ქალმაც, ზლბათ შეგატყოთ...

**ფრ. კეტ.** სრულებითა არა.. ჰანეს, მე ონია...

**იჰოან.** ამისთანა გარემოებაში, სწორე გითხრა თხოვნაც ძნელი მოსახერხებელია როდესაც სხვები დგაენან ენა ჩაცვივნილებისავით და ხმას არ იღებენ... ჩემის ფიქრით კი, ძალიან მოუხერხებლად მიმაჩნია ამ წვიმისხმაში ადამიანის გარეთ გაგდება..

**ფრ. კეტ.** (მიუახლოვდება იოჰანეს და მოალერსებული ალერსით) არა, ჰანეს. შენ სცდები.. რათა ხარ ჩემზედ მაგისთანა ცუდი აზრის? მაგ ქალს აქედან არვინ აგდებს?..

**იოჰან** საქმეც მაგაშია, რომ თქვენში არა ვითარი გრძნობა არ არის! სწორეთ ბრმა ყრუები ხართ! მე კი მშვენივრათ მესმის, რომ უცერემონიოთ უთითებთ კმრგებისაკენ დიახ, სწორეთ რომ უთითებთ: „ჩვენსა კარგა ხანს იყავი და ეხლა კი გზა მშვიდობისა!". მიბრძანდით საითაც გნებავსო! აბა ერთი კითევა სცადე ცხოვრების ტალღებში ცურვაო!" დიახ, დიახ, კეტე, მე ესე მგონია... გამოთხოვების დროს გულცივი დანანება მოშორების გამო, მორჩა და გათავდა!.

**ფრ. კეტ.** კარგი ერთი, ჰანეს, ჩვენ ხომ ვეცადენით, რომ ცოტათი მაინც უზრუნველ გვეყო...

**იოჰან.** ვინ იცის კიდევ, ჩვენგან მიიღებს თუ არა. ან და რა შემწეობაა, სათქმელათ არა ღირს..... გარდა ამისა, განა ფულს შეუძლიან გრძნობის მაგიერობა გასწიოს?

**ფრ. ტეკ.** ეხ, ჰანეს,, ოდესმე ხომ უნდა წასულიყო.

**იოჰან.** კეტე, ეგ ნამდვილი ფელისტურობაა! ქალი ჩვენთანა ცხოვრობდა, დავმეგობრდით და ეხლა ფილისტერები ამბობენ ჩვენ ხომ ერთმანეთს მაინც უნდა დავშორებოდითო... მაგრამ ეს სადაური ლოლიკაა არ მესმის! ეს არის ის შეჩვენებული უაზრობა, რომელიც მუდამ გზაში გვეხირება და ცხოვრებას გვიშლის...

**ფრ. კეტ.** შენ გინდა, რომ ის ქალი კიდევ ჩვენთან დარჩეს?

**იოჰან.** მე არაფერიც არ მინდა! მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ჩვენი შეხედულობა ცხოვრებაზე ისეთივე იწრო, ისეთივე წვრილმანია, როგორ ყოველი ფილისტერის შეხედულობა. რაც შემეხება კერძოთ მე. ვიცი, ვგრძნობ. სულელური რიგიანობის პირობათა ათასი ჯაჭვით რო არ ვიყო შემოჭვილი, მე სულ სხვა ნაირათ მოვიქცეოდი ცხოვრებაში—უფრის ყოვლისა ვეცდებოდი შინაგან სიფ ქიზეზე. და მაშინ ჩემი შინაგანი „მე" სხვების წინაშე წარსდგებოდა მხოლოდ ჩემი სინიდისის თანადასწრებით. მერწმუნე...

# ჰანგები

მოჩუხჩუხე მთის ჩანჩქერთან
მთის ყვავილი კეკლუცობდა,
ბროლის შხეფში განბანილი
ხარობდა და ლამაზობდა.

—

მისგან გრძნობა მიღებული
ბულბული სულ იქვე ჰფრენდა,
და დამთვრალი სიყვარულით
სააშიყო ლექსებს სტვენდა...

—

დილის მზე მას შეჰხაროდა,
სხივებს სძლვნიდა ფერად ნაირს,
ჩანჩქერი კი შეუწყვეტლივ
მოუთხრობდა უკვდავ შაირს.

—

ცელქი სიო მოკრძალებით
უკოცნიდა ლამაზ ფოთოლს,
და ტკბილ ზღაპარს უგალობდა
ბუნებისგან მწირს და ობოლს.

***

ერთხელ ღამით, გრძნეულ ბულბულს
ცის ჰანგებში ჩასთვლემოდა,
და მოღლილი აშიყობით
მოსვენებას მისცემოდა...

—

ლამაზ ყვავილს საიდგანღაც
მგესლავ ქარმა ჩაურბინა,
მასაც მისცა შავი ფიქრი,
მასაც სევდა გაუჩინა.

—

და ჩამოჭკნა მთის ყვავილი,
თავი დაბლა ჩამოჰხარა,
ვერ შეუძლო ღამის სევდას,
ფოთლები ძირს ჩამოჰყარა.

—

მოჩუხჩუხე მთის ჩანჩქერი
მას სულ ცრემლათ დაადინდა,
ბულბული-კი გულ მოკლული
მწარ ჰანგებით აქვითინდა...

დ. ძიძიგური.

# სამი აჩრდილი

განთიადი მოახლოვებული იყო. ძაძით ოსილ ცის კაბადონისთვის დილის ალიონს თავისი შუბი ეტყორცნა და წითლად ალაქლაქებდა. შორის ტყიდან მოისმოდა მრავალ ხმოვანი, გაღვიძებულ ფრინველთა, სტვენა-გალობა, რომელთაც პირვლად ეგრძნოთ გაზაფხულის მოახლოვება... მათი სტვენა-გალობა არ ჰგავდა ჩვეულობრივს, სევდიანს და მწუხარეს, მათ საიდუმლო ჭიკჭიკში რაღაც ბედნიერების ჰანგები გაისმოდა.

კავკასიონის მთის მწვერვალს ტლანქი ნისლი გადაჰყროდა და მის ნაცვლად თეთრი და სპეტაკა ღრუბლები დასტრიალებდნენ, რომლის წიაღშიაც გამოსჭვივოდნენ მკრთალნი აჩრდილნი ღრმად მოხუცებულის სახისანი. ხელი ხელზე გადაებათ და მათ სევდა-ნახულ დაღარულ სახეს სიამოვნების ღიმილი დაჰკროთოდათ. სამთავეს ხელში ფანდური ეპყრათ, რომლის მოდუნებული სიმებიც თავის თავად ეწყობოდნენ... ასეთ დუმილით იდგნენ იგინი და დაფიქრებით გაჰყურებდნენ შორს, შორს... ჩაღრმავებულ სივრცეს და რამდენიც დრო გადიოდა იმდენი მათ სახეზე მოუთმენლობა ეტყობოდა...

ასე განვლო რამდენიმე ხანმა. მათი სახე დრო გამოშვებით ხან ჰმუნვარებას და სევდას ჰხატავდა, ხან სიამოვნებას და მხიარულებას... მაგრამ... ჰოი, საკვირველებავ, ჩრდილოეთის მხრით უეცრივ ცამ გაიელვა, საიდანღაც გამოჩნდა ოქროს ფეროვანი მზისვე მნათობი და პირველი სხივი კავკასიონის ბუმბერაზ ქედსა სტყორცნა და იქაურობა მსწრაფლ ნათელმა მოიცვა. მყინვარი მთის მწვერვალი ჩამოლხვა, რომლის ცრემლებზედაც ამოცენდნენ მრავალ გვ რი მცენარეები და ფერად-ფერადი ყვავილები, რამაც იქაურობა ედემის ბაღს დამგზავსა... მოხუცთ სახე გაუბრწყინდათ და... სამთავემ მწყობრად ჩამოჰკრეს ფანდურის სიმებს. და გაისმა ჰიმნი თავისუფლებისა, რომელსაც ზედ დასძახოდნენ ციურ საგალობელს საქართველოს ერის გასაგონად... ეს ხმა მოხუცთა არ იყო სიმღერა... ყოველი სიტყვა ცის კაბადონს ათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როთოლებდა და შავით მოსილ აღმოსავლეთითაც სინათლე იღვიძებდა... მწარედ მომტირალ დედას სახეზედ ღიმილსა ჰგვრიდა... ტყვედ-ქმნილ გამირანს ძალა ემატებოდა და მონოაისხუნდთა დსამსხვევრად ემზადებოდა... ხოლო ავი სული დღემდის მოხითხითე საზარელი პირშავი ავი სული შიშისაგან მთლად მოკრუნჩხულიყო და პირქვე დამხობილი საზარლის ხმით ჩაჰლმუოდა მთათა პირლია უფსკრულს.

მხოლოდ მოხუცნი ფანდურს სიმებს კვლავ აწკრიალებდნენ და დასძახოდნენ ერის ადდგენის საგალობელს... ესენი იყვნენ საქართველოს მნათობნი ილია კაკი და გაყა...

გ. ხატიაშვილი.

# მებრძოლი ქალი·

(დასასრული, ე. იხ. "თ. და ც." № 30]

გათენდა დილა ჩუმი და ცივი,
აღარ ანათებს მზე სხივთ მფრქვეველი,
შავი ღრუბლების მანდილს იფარებს,
თითქოს ქვეყანას აღო ხელი.

—

ველ მინდვრიდ დაჰქრის, ბარიო, ქარი,
ფურცლებით ავსებს ტყისა ნაპირებს,
„ძმათა საფლავსაც“ დაკვნესა მწარედ
მან წასჩურჩულა; „სალამი გმირებს„.

—

კვლავ გასრიალდა, თმა აუწეწა
ობლად დარჩენილს მებრძოლ მწუხარეს,
უკანასკნელსა ოხვრასა პარავს,
უნდა წაუღოს სამშობლო მხარეს.

—

ადრე ამდგარა დღეს გენერლი,
ფიქრის ბეჭედი აზის მის სახეს,
„მე აქ დავდივარ,« ფიქრობს, და მტერი
იქნებ ახლოა, გვიგებდეს მახეს«!

—

ამ დროს უეცრად კარი გაიღო,
შიგ შემოვიდას ალდათი ნაზი,
კლავ შეხვეული ბარათსა აწვდის·
ხალამიც მისცა კოხტა, ლამაზი...

—

გახსნა ბარათი, კითხვას მიადგა,
შეიქნა ამბვით გახარებული.
თავი აიღო და თანაც შეცქერის
მის წინ მდგომ სალდათს გაკვირვიებული.

—

—აა, ეს თქვენ ხართ?
“დიახ ბატონომე ის ქალაივრ ვაჟთ ტანსაცმელში.
წელზედ მაქვს ხმალი ტყვითა, წამალი,
თოფიცმ იჰირავს „უსუსურ ხელში.„

—

მსუბუქად დამქრეს მარცხენა მკლავში,
მჯერა სულ მალე გამოვბრუნდები;
როცა მოვრჩები ბრძოლისა ველსა
კვლავ საბრძოლელად დაბრუნდები.

—

კარგად გიბრძოდი, თუმც ჩემი ტყვიით
მტრების რაზმებში არვინ მომკვდარა,
ზოგს ხელში ვჰრიდი, ზოგს კიდევ ფეხში,
ბრძოლისთვის მგონი ესეცა კმარა?,.

—

ალბად იმასთაც შორს სამშობლოში
ჰყავთ სარტფო, დედა მიტოვებული.
მე იმათ სიკვდილს ვერ ავიტანდი,
ვერ გაუძლებდა მათ ცრემლებს გული!

—

თვითვე მოგვიხდენ, ჩვენი სამშობლო
გადაგვიქციეს ბრძოლისა ველად‘
რა ქნან, როდესაც მათი კანონი
ძალით აგზავნის მათ საბრძოლველად.

—

ორი დღე აოის რაც ფეხზე ვდგევარ,
ვერ დავიძინე,, მაწუხებს წყლული,
თქვენს უნებურად კვლავ თქვემთან მოველ,
ეს არის მემი დანაშაული.

—

მოწყალების დას მე თქვენ თვრთვე გთხოვთ,
სსურს სამკურნალოთ აქდავრჩე ჯერე,
გთხოვთ მაპატიოთ ჩვმო ბატონო,
რომ მე თქვენს რჩევას არ დაუჯერე“.·.

—

უსმენს სარდალი უკვეძლეული,
უნდა გაჯავრდეს, არ მოდის გული,
როგორ გაჯავრდეს, როცა მისწინ სდგას
დაჰრილი ქალაიგამარჯვებული.

—

თავის გულიდან ჯვარი მოიხსნა.
და ქალის. გული მით დაამშვენა,
ამბობს.. „მსგავს ქალებს თუ გვიშობს ერი,
არ დავმარცხდებით აროდეს ჩვენ“

ვინ სთქვა, რომ კაბას ჯი ილო არ შვენის
ვინ იტყვის, რომ ქალს არა ქვს ძალა?
მიეცით მხოლოდ თავისუფლება.,.
მუდმივ მონობამ დასცა, დალალა!..

**ხაფო მგელაძე**

# მარი

გხედავ, ყოვილთვის დაგიქმაქოზ, დღესასწაულობ,
შენს შავს თვალებში ურცხვად მოსჩანს შიშველი ქალი,
შენს შავს თვალებში, რითაც გიქობ, რითაც ალუორბ
ვნებით დამთვრალი დაცეკვაობს მზის დედოფალი!
მაგ შენს შავ თვალებს და ტკბილ ბაგეს მზიან ღამეში
ჯერ საკოცნელად ვნებით მთვრალი არვინ ხლებია,
ჯნებიან ჩემს სულს შენს თეთრ სულთან ერთად თარეშში
ყვავილთ მხარეში ერთმანეთი შეჰყვარებიათ!
მზიურ ოცნებად მომევლინა შენი ხატება...
ჩვენი წარსული ისე მახსოვს, როგორც სიზმარი...
სულში კვლავ იქვი არ ისვენებს, კვლავ იბადება...
გული სუსტდება უშენობით, ოხ, მარი!.. მარი!..

**ვეფხო-ფშაველი**

# ჭირშიაც ქედმოუხრილი გიორგი მარსაგოვი

მუშათა ბრწყინვალე დღესასწაულს ერთი თალხი ზოლი ჩაექსოვა.

გარდაიცვალა ის, ვინც მთელი თვისი არსებით, მთელი თავისი აზრით და რწმენით მუშათა დღესასწაულის გათენებას ემსახურებოდა.

ეს იყო გიორგი პეტრეს ძე მარსაგოვი, ანუ ჩვენი გიორგი პეტროვიჩი,

გიორგი იყო მოხევე, ლაღი მთის შვილი მთავარ სახელოსნოს მუშა-ხელოსანი და სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიის ერთი დაუცხრომელი მუშაკთაგანი.

მოძრაობაში ჩაერია 1900 წლიდან და რაკი ერთი ფეხი შესდგა მუშათა გათვითცნობიერების და განთავისუფლების საქმეში, სიკვდილამდე თავი არ მიუნებებია.

პირველად ვნახე ცხრაასიან წლებში, ორგანიზაციულ მუშაობით გატაცებული, თავდავიწყებით მომუშავე.

მეორედ ცხრაას ხუთს თავის საკუთარ ბინაზე, სადაც მას ებარა, ვგონებ, მუშათა სამხედრო ნაწილით, და ისე აღტყინებულ-აღტაცებული ადამიანი არ მინახავს. იტყოდი მთლად განხორციელებული საქმიანობაა.

მესამედ მეტეხის ციხეში ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ და აქაც მთის არწივად მომეჩვენა.

მართალია, ჭაბუკური დიდი გატაცება აღარ მჩნეოდა, მაგრამ აშკარად ატყობდით, რომ მის შიგნი-შიან იდუმალი ცეცხლი ღვიოდა, გარეგანი ტლანქი ხელით ნაცარ-მიყრილი ..

ტუსაღობაშიც კი გაბედული, ამაყი, წარბ-შეუხრელი, პირდაპირი ყოველთვის თვაწეული, ყოველი საგნის საკუთარი სახელით მომნათლავი, შეგნებული რევოლიუციონერი, შორს გამჭვრეტი და მდგომარეობის ამწონ-დამწონი, სამართლიანი და მოუფერებელი,—

ბუნებით შორს გამჭვრეტი ცხოვრებამ კიდევ უფრო გამოაბრძმედა.

ამიტომაც იყო, რომ ბევრ „ამხანაგის“ საქციელსაც-კი ქარცეცხლში ატარებდა.—მას სძაგდა უბრალო სიტყვის ხალხი, ენა მოცვეთილი, ჭიჭყინა და უქნარა!

— მძაგს, მძაგს გრძნობის სოციალისტები,—წამოიძახა ერთხელ ციხის ეზოში სეირნობის დროს, როდესაც ერთმა ძარღვებ-მოშლილმა ამხანაგმა ციხის მეკარეს ლანძღვა დაუწყო.

— შედეგს კი ნუ ებრძვით მიზეზი მოსპეთ. შენ რომ დაგაყენონ მაგის მაგიერ, უარესი თუ არა, ნაკლები არ იქნებით.

გიორგი პოლიტიკურ საქმეზე გაასამართლეს, ექვსი თუ შვიდი წელიწადი ციხე გაათავებინეს, ბოლოს სამადლო სახლში გადაიყვანეს...

თავისუფალ მთის შვილი ხანგრძლივმა ტუსაღობამ დაადნო, დააჭკნო, სამშობლოში ჩამოსვლა გასულ წელს ეღირსა, წელს თავისუფლების გაზაფხულიც იხილა.

იგი გარდაიცვალა მკათათვის 19 აბასთუმანში. წასვენებულ იქმნა მთას.

ნუმც დაობლდება ის ქვეყანა, რომელიც შენისთანა შვილს გვიზრდის, ჩემო კარგო მეგობარო და ამხანაგო გიორგი... დემოკრატია შენს სახელს არ დაივიწყებს

**იოსებ არიმათიელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



**სოფ. ბაკურციხეში** კვირას 16 ივლისს, ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ გ. გარრიკის რეჟისორობით წარმოდგ. იქმნა ალ. დოდეს „ორი ძმა," გ. სუნდუკიანცის „საღამოს ერთი ცხვირი ხვირია" და ი. გრიშაშვილის „ტიმოთეს ლედგი". წარმოდგენას უმთავრესად გლეხობა დაესწრო.

აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ იმგვარად წარმოდგენების გამართვა, რაგვარადაც ეს ხდება ჩვენ სოფლებში გლეხებისათვის უსარგებლოდ უნდა ჩაითვალოს. თუმცა იგინი დიდის ხალისით ესწრებიან ამ წარმოდგენებს. მაგრამ სამწუხაროთ მათ აქედგან არაფერი გამოაქვთ, რადგანაც სწავლა-განათლებას მოკლებული გლეხობა, თეატრს ისე უყურებს, როგორც ბალაგანს,-მსახიობებს კი როგორც მასხარებს. წარმოდგენა რაც უფრო ბალაგანურ ხასიათს იღებს, მით უფრო მეტად მოსწონთ მათ. სამწუხაროთ ხშირათ სცენის მოყვარენიც ამ გემოვნებას მიჰყვებიან ხოლმე და გადაჭარბებულ მანჭვა-გრეხით სცდილობენ მსმენელთაგან მეტის აპლოდისმენტების დამსახურებას. რომ გლეხების ზემო აღნიშნული შეხედულებანი თეატრზე გამოიცვალოს, საჭიროა მუდამ წარმოდგენის დაწყებამდე წინასწარი განმარტება იმისა, თუ რა არის თეატრი, რისთვის იმართება წარმოდგენები და რა აზრების გატარებული წარმოსადგენ პიესებში. მხოლოდ ამგვარად გამართულ წარმოდგენებს შეუძლიათ იქონიონ **„მეორე სკოლის"** მნიშვნელობა გლეხების ცხოვრებაში.

ამ თვალსაზრისით, ზემოხსენებული წარმოდგენა უნაყოფოდ უნდა ჩაითვალოს გლეხებისთვის, თუმცა იგი, როგორც წარმოდგენა, დამაკმაყოფილებელი იყო. გ. გარრიკმა თავისი ბუნებრივი და ნიჭიერი თამაშით, უფროსი ძმის დომეს როლში, დიდი სიცოცხლე შეიტანა ალ. დოდეს სუსტ დრამაში მან დიდის განცდით ჩაატარა ეს როლი. მის თამაშს ხელს უწყობდა მისი მძლავრი მოქნილი სასცენო ხმა და მდიდარი მიმიკა. სხვანი ანსამბლს ხელს უწყობდნენ. დრამებს მიუჩვეველი გლეხობა თავისი უადგილო ხარხარით და ხმა მაღლა დაპარაკით მოთამაშეებს ძალიან ხელს უშლიდა. კომედიები საერთოთ მხიარულად ჩაატარეს, თუმცა ზოგიერთი სცენის მოყვარე კომიკობაში ხშირათ მეტათ აჭარბებდენ. ასეთი იყო პატარა კამელი ტიმოთეს და არუთინას როლებში. ხშირათ მისი მეტის-მეტი მანჭვა-გრეხა-მასხარაობაში გადადიოდა. კარგნი იყვნენ ე. ყარევი—მართას როლში და ვ. ვაჩნაძე ოსკან პეტროვიჩის როლში სცენა ლამაზად იყო მოწყობილი. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ამ წარმოდგენების ნაყოფიერებას გლეხებისათვის.

გ. ელიბერიძე.



# მ ა ნ ც ა ხ დ ა მ ა

## ახალი წიგნი

საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიის ორგანოს „ხალხის თავისუფლების" გამოცემა № 1

### ვ. გომართელი

**საქართველოს ტერიტორიალური**

### ავტონომია

ანუ

**ეროვნულ-ტერიტორიალური**

### თვითმართველობა

**წიგნში მოთავსებულია:** 1) ავტონომიის ანბანი სოფლის ხალხისათვის; 2) საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია, 3) ტერიტორიალური ავტონომია და კლასთა ბრძოლა (ოთხი წერილი), 4, საქართველოს ავტონომია და საქართველოს ერები, 5) მუშას: 6) სოფლის ხალხს და 7) ავტონომიის სხვა და სხვაობა.

წიგნი შეიცავს 80 გვ. მავთულით შეკანულია და ღირს 25 კაპ.

წიგნთ მოვაჭრეებს დაეთმობა:

100 ცალი—20 მან, 100 ცალი—200 მან. მსურველთ მიმართონ თბილისში „ხალხის თავისუფლების" რედაქციაში, ბაზრის ქ. არჯევანიძის სახ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, მეწიგნეების რიგზე. ფოსტით;

Тифлис. Ред. „Халхис Тависуфлеба"—Іос. Имедашвили.

## „თეატრი და ცხოვრების“

**ფონდის სასარგებლოდ მივიღეთ;**

1 ბარნაბა მიხეილის ძე ღოღობერიძისაგან 5 მან.
2, გიორგი მაღრაძისაგან (ხუთი თვისა, თვიურად სამ. მან. 15 მან.
3, X— სგან 12 მა.

შემომწირველთ გულითად მადლობას ვუძღვნით რედ.

**შეცდომით გასწორება:** დ. კოპალის ლექსში („თ. და ც“ № 28, „საქართველო“) დაბეჭდილია: „რადა გძინავთ?“ უნდა იყოს: „რად არ გძინავთ?“

1 მარ. რესტორანი
კაფე-პარიზი
**სასახლის ქუჩა
თავად აზნ. სახლი**
ერთად ერთ რესტორან **„კაფე პარიზს“** საზაფხულოდ **აქვს ბაღი,** სადაც სუფთა ჰაერზე შეიძლება **საუზმის, სადილის და ვახშმის** მირთმევა, არის ცალკე ფანჩატურები და კაბინეტები. **სანოვაგე საუკეთესო ღირსებისაა**
**პატივისცემით სილ. გიგიბერია.**

**ხელოვანი მხატვარი დ. კიკნაველიძე**
ადიდებს ფოტოგრაფიულ სურათებს, ასრულებს ყოველ გვარ საქმეს (საეკლესიოს და სხ.) შენაკვეთს ამზადებს საუცხოოდ, ფაქიზად და დროზე. თბილისში დროებითი მისამართი „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში (ბაზრის ქ. № 20), ბაქოში პოროხოვის ქ № 56 შეკვეთას მიიღებს ფოსტითაც.

რაჟ. გვეტაძე
(რაჟ. რომანიშვილი).
მოიკითხეთ ყველგან

„თეთრი წიგნი“
(სნეული ლექსები)

**V წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის V**

**სათეატრო-სალიტერატურო, სამხატვრო წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ პრემიას**

კვირეული ჟურნალი
**თეატრი და ცხოვრება**
(წელიწადი მეხუთე)
გამოვა სრული პროგრამით

**აკაკის** „ნააფეხები და ბრძნული სიტყვები“ ავტორის სურათებით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

**ჯ. ლომთათიძის** „რჩეული აზრები“ ავტორის სურათით, ფაქსიმ. და ბიოგრაფიით.
**უკვე ცნობილი რედაქციით**

ჟურნალი პარტიათა გარეშე, პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დასახელებული და ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები

**ჟურნალის ფასი** ორივე პრემიით წელიწადში ღირს 8 მან. ნახევარის წლით მან. 50 კაპ. თითო ნომერი ყველგან 15 კაპ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება: ხელის მოწერის დროს 3 მ, 1-მაისამდე—3 მ. 1-ელ ენკენისთვემდე 2

**ხელის მოწერა მიიღება:** თბილისში, „სორაპნის“ **სტამბის კანტორაში** (მადათოვის კუნძული, № 1, ვორონცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“ Іосифу Имедашвили რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი

# ქართული კლუბი

### 1 კვირის პროგრამმა

**ორშაბათი** — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

**ცხაშაბათი** — საოჯახო საღამო

**ოთხშაბ.** — სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.

**ხუთშაბ.** — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

**პარასკ.** — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დ

**შაბ** — საღ.

**კვირა** — რუსული წარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.






მუშა-მგოსანი იოს. დავითაშვილი გარდ. 1887 წ. ამოდუღდი შე ოხერო დარიბების ბედის წყარო

რედაქტორ-გამომც. იოსბ იმედაშვილი. სტამბა „სორაპანი"